მარტვილის მუნიციპალიტეტის რელიეფის გეომორფოლოგიური შეფასება

ქრისტინა ცაავა

ელ-ფოსტა: Kristina.tsaava589@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი 0179, საქართველო

სამაგისტრო ნაშრომის თემაა „მარტვილის მუნიციპალიტეტის რელიეფის გეომორფოლოგიური შეფასება“.მარტვილის მუნიციპალიტეტი საქართველოს რეგიონებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული მუნიციპალიტეტია, სადაც ერთის მხრივ კლიმატის გლობალური ცვლილებებისა და მიწისძვრების გააქტიურების საერთო ფონზე და მეორეს მხრივ ადამიანის ფართომასშტაბიანი საქმიანობის პრესინგის პირობებში ბოლო პერიოდში გააქტიურებულია სხვადასხვა სტიქიური პროცესები, მათ შორის მდინარეების მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორების ინსტენსიური გვერდითი ეროზია და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების შემცირება, მეწყრული და ღვარცოფული პროცესები.

ნაშრომში შეფასებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის რელიეფი,ასევე კვლევის მიზანს წარმოადგენდა გეოდინამიკური პროცესების განვითარების მასშტაბის დადგენა და მისი გამომწვევი ბუნებრივი და ანთროპოგენური ზემოქმედების შეფასება.

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება მარტვილის მუნიციპალიტეტს, რომელიც გამოირჩევა გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და კლიმატური პირობებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბოლო პერიოდში გააქტიურებული სხვადასხვა სტიქიური პროცესები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების შემცირება, ეროზიული და ღვარცოფული პროცესების განვითარება, წარმოადგენენ სწორედ ერთ-ერთ ნათელ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ადამიანის უხეშმა და არასწორმა ჩარევამ ბუნებრივ გარემოში და ასევე, ანთროპოგენური ტრანსფორმაციის გაძლიერებამ გამოიწვიოს გეოეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება.

ჩემ მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდი, მდგომარეობს თემის მიხედვით

ლიტერატურის შეკრებასა და მის ანალიზში, აგრეთვე, მოპოვებული მასალის დამუშავებასა და მის მიხედვით სარწმუნო დასკვნების გამოტანაში.